DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.25

რეჯეფ ტაიპ ერდოღანის საგარეო პოლიტიკა
FOREIGN POLICY OF RECEP TAYYIP ERDOĞAN

გიორგი ჭილვარია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Giorgi Tchigvaria
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The article describes the foreign policy directions of Tayyip Erdoğan and his team, independent political moves in the Middle East, strained relations with Europe and the United States, and Turkey's role in the Russian-Ukrainian war.

In 2002, the Justice and Development Party, a conservative political party, came to power in the Republic of Turkey through elections. Its leader, Recep Tayyip Erdoğan assumed the position of the country's prime minister in 2003. Following this transition, Ankara became more active in the international arena, gradually adopting a foreign policy that diverged significantly from the foreign policy line of the Kemalists of the last period of the 20th century. However, this shift garnered criticism from Europe, posing a challenge to Turkey's aspirations to join the European Union. The Russia-Ukraine war has further reshaped a new geopolitical landscape both in the region and around the world, establishing Ankara as a key political player in the Black Sea region and, consequently, making the Republic of Turkey more valuable and influential on the world stage.

საკვანძო სიტყვები: თურქეთის საგარეო პოლიტიკა, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მმართველობა.
keywords: Turkish foreign policy, the rule of Recep Tayyip Erdoğan.

შესავალი

თანამედროვე პოლიტიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს თურქული საგარეო პოლიტიკის ფაქტორები. თურქეთის რესპუბლიკა არის ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო, რომელიც დღეს გაცხადებულად რჩება ალიანსის წესდებისა და პარტნიორების ერთგულ მოკავშირედ, მაგრამ ამასთანავე ცდილობს რეგიონში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რომელიც

უპირველესად თურქეთის ეროვნული ინტერესების დაცვას ემსახურება. ანკარის თანამედროვე პოლიტიკის მთავარი სულისჩამდგმელი გახლავთ რეჯეფ ტაიპ ერდოღანი, თურქეთის რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტი. იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა მსოფლიო პოლიტიკაში. ორ ათეულ წელზე მეტია უკვე, რაც იგი ანკარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთპიროვნული მმართველია, მიუხედავად ავტოკრატიული მმართველობისა, მან შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება და სახელმწიფოს მართვის 21-ე წელს ისევ მოიპოვა გამარჯვება და ძალაუფლება სულ მცირე კიდევ 5 წლის ვადით გაიხანგრძლივა.

თანამედროვე ანკარის საგარეო კურსი და ვექტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან თურქეთის რესპუბლიკა ჩვენი უშუალო სასაზღვრო მეზობელია და, ჩვენი სურვილის მიუხედავად, გვინდა თუ არ გვინდა, მისი ინტერესების არეალში გვიწევს ცხოვრება. იგი ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი ძალაა შავი ზღვის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად ვიხელმძღვანელეთ თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის, დიდი ეროვნული კრების, იგივე პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, მმართველი პარტიისა და მისი მთავარი მოწინააღმდეგეების პოლიტიკური შეხედულებების მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯების მიხედვით. ასევე დავამუშავეთ სხვადასხვა ქართული და უცხოური, ინტერნეტ- და საინფორმაციო საშუალებები, შევადარეთ და გავაანალიზეთ ანკარის საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულებები სხვადასხვა რაკურსიდან. მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, აჰმედ დავუთოღლუს ნაშრომები, განსაკუთრებით „სტრატეგიული სიღრმე – თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები“, რომელშიც ავტორი, ოსმალეთის მემკვიდრეობიდან გამომდინარე, ქმედებების აუცილებლობასა და მსოფლიოში თურქული წარმომავლობის ხალხებთან მჭიდრო კავშირების გაბმის საჭიროებას ხედავს, რამაც საბოლოო ჯამში ისინი ერთიანი, დიდი თურქული კოალიციის ჩამოყალიბებამდე უნდა მიიყვანოს. თანამედროვე ეტაპზე დავუთოღლუ ერთ-ერთი გამორჩეული კრიტიკოსია ერდოღანის საგარეო და საშინაო პოლიტიკისა. 2016 წელს მას ტაიპთან პოლიტიკური უთანხმოების გამო მოუწია თანამდებობის დატოვება, რის შემდეგაც დააარსა საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია „მომავლის პარტია“ და აღნიშნული პლატფორმიდან დღემდე აკრიტიკებს მოქმედი პრეზიდენტის პოლიტიკას, განსაკუთრებით ისრაელ-პალესტინის მიმართულებით. ამ კუთხით საინტერესოა მისი პირდაპირი ჩართვები, რაც მოვიპოვეთ თურქულ საინფორმაციო და სხვადასხვა ინტერნეტ არხებიდან. თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, მის როლზე ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონზე მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს სტამბოლის კადირ ჰასის უნივერსიტეტის პროფესორ მუსტაფა აიდინს. ასევე საინტერესოა ამჟამად ვაშინგტონში კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის პროგრამის ხელმძღვანელის ალპერ ჯოშქუნის ნაშრომები თურქეთის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე. დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის

საგარეო პოლიტიკის წარმართველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ერდოღანის წინასაარჩევნოდ წარდგენილი პროგრამა „თურქეთის საუკუნე“, რომელიც საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული დოქტორანტ დავით თავაძეს თავისუფალი უნივერსიტეტის, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის, სამეცნიერო ჟურნალ „დუნიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“. მკვლევარს შესწავლილი აქვს ერდოღანის ხედვები საგარეო პოლიტიკურ ჭრილში და ასევე კარგად აქვს გაშლილი ანკარის მომავალი საგარეო პოლიტიკური ასპექტები როგორც ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, ისე შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონების, კავკასიისა თუ შუა აზიის მიმართულებით.

მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას ვიხელმძღვანელეთ თვისებრივი მეთოდით, გამოვიყენეთ როგორც დისკურს, ისე კონტენტ-ანალიზის მეთოდები. გავეცანით რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ბოლო საარჩევნო პროგრამასა და მის ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტს „თურქეთის საუკუნე“, მმართველი ელიტის პირდაპირ განცხადებებსა და ინტერვიუებს, სხვადასხვა სამთავრობო, ოპოზიციურ თუ უცხოურ ინტერნეტ რესურსებს, ასევე, დარგის სპეციალისტების, პროფესორებისა და ექსპერტების ნაშრომებსა და შეხედულებებს.

მსჯელობა/შედეგები

2002 წელი თურქეთის რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი სიახლეების დასაწყისი გახდა. ანკარაში არჩევნების გზით შეიცვალა მმართველი ძალა და ხელისუფლებაში მოვიდა სამართლიანობისა და განვითარების კონსერვატიული პარტია, რომლის ლიდერი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი 2003 წლიდან გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანკარა უფრო მეტად აქტიური ხდება საერთაშორისო ასპარეზზე, ის ფაქტობივრად ნელ-ნელა, ფრთხილად იწყებს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება XX საუკუნის ბოლო პერიოდის ქემალისტების საგარეო პოლიტიკის ხაზისაგან. ერდოღანის პარტია ძირითადად ისლამის იდეალების ირგვლივ ყალიბდებოდა, მაგრამ მთავარი იდეოლოგიური საყრდენი აჰმედ დავუთოღლუს ე.წ. „სტრეტე-გიულ სიღრმეები“ იყო. მან შეიმუშავა რამდენიმე დევიზის მთავარი პრინციპი და მისი სხვადასხვა კონცეპტუალიზაცია, როგორებიცაა: „ნულოვანი პრობლემა მეზობლებთან“, „რიტმული დიპლომატია“, „სტრატეგიული სიღრმე“ და „რეგიონზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა“. როგორც სტამბოლის ქადირ ჰასის უნივერსიტეტის პროფესორი მუსტაფა აიდინი მიიჩნევს, ერდოღანისა და მისი გუნდის საგარეო მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები: „ეს იყო პოლიტიკის შექმნის ტრადიციული ხერხისგან განსხვავებით, ახალი მიდგომის შემადგენელი საგარეო პოლიტიკური მიმართულებები, რომელიც წლების განმავლობაში არსებული თურქეთის საგარეო ვექტორებისაგან განსხვავებული და უცხო იყო“ (file:///C:/Users/User/Downloads/DeterminantsofTFP_AOF2019%20(1).pdf). პროფესორს მიაჩნია, რომ თურქეთის რესპუბლიკას „მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ მისცა საშუალება ეთამაშა პოტენციურად უფრო მაღალი როლი მსოფლიო

პოლიტიკაში, ვიდრე სხვაგვარად იქნებოდა შესაძლებელი. ის ფლობს არა მხოლოდ თურქეთის სრუტეების გასაღებს, არამედ ბალკანეთიდან ახლო აღმოსავლეთისკენ და კავკასიიდან სპარსეთის ყურისკენ მიმავალი გზების გასწვრივ სივრცეებს. ის არის ყველაზე დიდი გადარჩენილი სამხედრო ბლოკისა და ევროპული ორგანიზაციების უმეტესობის წევრი, ასევე ევროკავშირის ასოცირებული წევრი. მისი პოლიტიკური ჩართულობა და გამოვლენილი პოზიცია ანიჭებს მას ისეთ მნიშვნელობას, რომელსაც ძნელად ემთხვევა რომელიმე სხვა საშუალო ძალა. შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნის პოლიტიკის სწორ შეფასებას“ (https://www.jstor.org/stable/4284043). შეუძლებელია აქ ამ სიტყვების ავტორს არ დავეთანხმოთ, თურქეთის რესპუბლიკა რეგიონში ნამდვილად ანგარიშგასაწევი ძალაა, რისი სწორად შეფასებაც საქართველოს ყოველთვის მოუწევს თავისი სამომავლო საგარეო პოლიტიკის აქტორების განვითარებისას.

ერდოღანის საგარეო პოლიტიკური იდეალიზმი თავდაპირველად წარმოიშვა რწმენიდან, რომ ანკარის მიდგომა მის უშუალო სამეზობლოსთან, ახლო აღმოსავლეთთან, კავკასიასთან, ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (PKK) და ა. შ. უნდა ყოფილიყო უფრო მეტად დამოუკიდებელი და თურქეთი რეგიონალური პოლიტიკის გატარებისას აუცილებლად უნდა გამოსულიყო ატლანტიკური ალიანსის ჩრდილიდან და წინა პლანზე თურქული ეროვნული ინტერესები წამოეწია.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერდოღანი ენერგიულად შეუდგა რეფორმების გატარებას ევროკავშირთან დაახლოების მიზნით. პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, მისი აქტიურობიდან გამომდინარე, გაზეთმა European Voice-მა ერდოღანი „2004 წლის ევროპელად“ დაასახელა (https://en.wikipedia.org/wiki/European_of_the_Year_(European_Voice_award).

ოფიციალური მოლაპარაკებები ახალმა გუნდმა ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით 2005 წლის ოქტომბრიდან დაიწყეს, თუმცა, რაუნდების გამართვასთან და ერდოღანის მმართველობის წლებთან ერთად, თურქეთი, ევროკავშირის წარმომადგენლების შეხედულებით, ნელ-ნელა კიდევ უფრო დაშორდა ევროპულ ღირებულებებს. ევროკომისიაც თავდაპირველად აქტიურად უჭერდა მხარს ახალი ლიდერის რეფორმებს, მაგრამ მალე მათაც ღიად დაიწყეს ანკარის პოლიტიკის კრიტიკა. უკვე 2009 წლიდან კი მოლაპარაკებები ფაქტობრივად ჩიხს მიუახლოვდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ, როგორიც არის, მაგალითად, კუნძულ კვიპროსის საკითხი, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ა.შ.

საბოლოო ჯამში, უკვე 2012 წელს ევროკომისიამ წარადგინა საკმაოდ კრიტიკული ანგარიში, სადაც მკაფიოდ ხაზგასმით დაწერეს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში პრობლემებია ისეთი მთავარი ევროპული ღირებულებების მიმართ, როგორიც არის გამოხატვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების არსებობა, ქალთა და ბავშვთა უფლებები; დადებითი მიმართულებისკენ ვერ წავიდნენ ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკაშიც.

ევროპელებთან მოლაპარაკებების გაჭიანურების პარალელურად, ერდოღანი გააქტიურდა როგორც სირიის, ისე მთლიანად ახლო

აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით. უკვე აშკარად, ჩანდა, რომ რეგიონში ლიდერის როლის მოპოვებისათვის მუშაობდა.

ანკარამ ობამას სახელით დაიწყო ბირთვული მოლაპარაკებები ირანთან, რათა შუამავლის როლი შეესრულებინა თეირანსა და დასავლეთს შორის, ასევე, დაიწყო მცდელობები მშვიდობისმყოფელი შუამავლის როლი შეესრულებინა ისრაელისა და არაბების ურთიერთობაში, გააუმჯობესა კონტაქტები რუსეთთან და დიპლომატიური ნაბიჯები გადადგა სომხეთთან მიმართებითაც.

პარალელურად თურქეთის რესპუბლიკის საგარეო ვექტორები გააქტიურდა აფრიკის მიმართულებითაც, მაგალითად, 2011 წლის გვალვის შედეგად დაზარალებულ სომალის ფედერალურ მთავრობას დახმარების კუთხით 200 მილიონ დოლარზე მეტი თანხა გადასცეს დაზარალებული რაიონების დასახმარებლად. ამასთანავე, თურქები აქტიურად ჩაერთნენ ინფრასტრუქტურის მიმართულებით და განახორციელეს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: საავადმყოფოების მშენებლობა სხვადასხვა რეგიონში და სომალის ეროვნული ასამბლეის შენობისა და ადენ-ადდეს საერთაშორისო აეროპორტის რეაბილიტაცია.

ეს ყველაფერი დასრულდა არასასარგებლო შედეგებით. ერდოღანის პოლიტიკა, რომელიც გეოპოლიტიკური სიღრმეების გაფართოებას ემსახურებოდა, გეგმის მიხედვით ვერ განვითარდა. სირიის მთავრობამ რუსების დახმარებით მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა პროთურქულ ამბოხებულ ძალებთან და საკმაოდ დიდი ტერიტორიიდან დაახევინა აჯანყებულებს უკან, რამაც შესაბამისად შეკვეცა ერდოღანის გავლენები და გეგმები სირიის მიმართულებით. კადაფის რეჟიმის დაცემის შემდეგ ებრაელებისთვის მნიშვნელობა დაეკარგა პალესტინელებთან რაიმე მიმართულებით სასაუბროდ დაჯდომას, რასაც შედეგად მოყვა ისრაელის მიერ საჯაროდ ტაიპის ჰამასთან ურთიერთობების გაკრიტიკება და სახელმწიფოთა დონეზე ებრაელებისა და თურქების ურთიერთობების კიდევ უფრო დამძიმება. პარალელურად შესამჩნევად იზრდებოდა ირანის გავლენა ახლო აღმოსავლეთში.

პრობლემები იყო დასავლეთის მიმართულებითაც; ღია თვალითაც კარგად ჩანდა ურთიერთობების დაძაბვა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 2011 წლიდან, ასევე, ჩიხში შედის 2008 წლიდან დაწყებული მცდელობები კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, რამაც კიდევ უფრო მეტად შეიყვანა ჩიხში ურთიერთობები ევროკავშირთან და ფაქტობრივად კუნძულ კვიპროსის ბერძნული მხარე მშვიდობიანად ინტეგრირდა ევროკავშირში. თავად ანკარა კი, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იბრძვის ევროპული ოჯახის წევრობისთვის, რეალური შანსების გარეშე გარეთ დარჩა. ასევე, პრობლემები გროვდებოდა საშინაო პოლიტიკაშიც როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად.

2012 წლიდან ახლო აღმოსავლეთით იმედგაცრუებული ერდოღანი შენელებულ ეკონომიკასთან ერთად იძულებული ხდება თურქეთის სახე ისევ დასავლეთისაკენ შეატრიალოს. ასევე, ახალი მიზანი იკვეთება, რომელიც სპარსეთის ყურის მდიდარ ქვეყნებთან კავშირის აღდგენასა და გაღრმავებას გულისხმობდა.

2013 წლიდან შიდა პოლიტიკაში გააქტიურდნენ ტაიპის ყოფილი ლიბერალი პარტნიორები ფეთულაჰ გულენის ხელმძღვანელობით. დაიწყო ცნობილი „გეზი“ პარკის საპროტესტო აქციები, რასაც მასობრივი დაპატიმრებები და თავისუფალი პრესის შევიწროება მოყვა. საბოლოოდ, ეს ყველაფერი გადაიქცა ამბოხების მცდელობაში 2016 წელს, თუმცა გადატრიალება საბოლოოდ წარუმატებლად დასრულდა.

რეალურად აღნიშნული ფაქტი გახლდათ მსოფლიოში პირველი, როდესაც გადატრიალების დამარცხების უმთავრესი ფაქტორი იყო ხალხი, რომელმაც როგორც კი შეიტყო ამბოხების შესახებ, მაშინვე ქუჩაში გამოვიდა და შიშველი ხელებით დაუწყო წინააღმდეგობის გაწევა აჯანყებულ სამხედროებს.

გადატრიალების დაწყება იგეგმებოდა არა 15 ივლისის გვიან საღამოს, როგორც დაიწყო, არამედ 16 ივლისის დილის საათებში, როდესაც რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ძილში იქნებოდა, მაგრამ ერთ-ერთმა სამხედრომ მოქმედ ხელისუფლებას აუწყა ამბოხების შესახებ, რაზეც მალე ინფორმირებული გახდნენ თვითონ პუტჩისტებიც, სწორედ ამიტომ 8 საათით ადრე დაიწყეს მოქმედება, რომელიც საღამოს 22:00 საათს დაემთხვა (https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2016/07/18/saxelm-cip-o-gadatrialebis-mc-delobis-analizi-531971). თუმცა აჯანყებულები უკვე დამარცხებისთვის განწირულები იყვნენ. პრეზიდენტმა ერდოღანმა შეძლო უსწრაფესი რეაგირება, მოახერხა ხალხთან მიმართვისა და მოწოდების გაკეთება, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლა და ხალხის ხელისუფლების მხარეზე აქტიური ჩართვა მოყვა. საბოლოოდ, სახელისუფლებო ძალებმა მოსახლეობასთან ერთად მალევე გაანეიტრალეს აჯანყებულები და თურქეთის სადაზვერვო სამსახურმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღმოიფხვრა. აღნიშნული მოვლენა ნათლად გვაჩვენებს კრიზისების არსებობის პერიოდში ტაიპის ოპერატიულ მოქმედებებსა და ცივი გონებით გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებს.

2016 წლის ივლისში განხორციელებული სახელმწიფო გადატრია-ლების მცდელობის დროს 250-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 2700-ზე მეტი კი დაშავდა. არეულობის შემდეგ თურქეთში დააკავეს 80 ათასამდე ადამიანი, 150 ათასი საჯარო მოხელე და სამხედრო კი სამსახურიდან გაათავისუფლეს ან უფლებამოსილება შეუჩერეს. გადატრიალების ორგანიზების მთავარ შემოქმედად თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ, ერდოღანის ყოფილ თანაგუნდელ, მუსლიმ მქადაგებელ ფეთჰულა გიულენს ასახელებს (https://1tv.ge/news/turqetshi-2016-wlis-sakhelmwifo-gadatrialebis-mcdelobashi-braldebul-atobit-yo-fil-samkhedros-samudamo-patimroba-miusajes/).

ამავდროულად, ახლო აღმოსავლეთში არეულობის შედეგად ჯიჰადისტურ ტერორისტულ მოძრაობას ეძლევა გასაქანი ჩამოაყალიბოს ისლამური სახელმწიფო, რომელიც არა მარტო რეგიონისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის საფრთხის შემცველი ხდება. ამას თურქეთისათვის ის პრობლემა ემატება, რომ შეერთებული შტატები, მსოფლიოს მედროშე ტერორიზმთან ბრძოლაში, ისლამური სახელმწიფოს

წინააღმდეგ მნიშვნელოვან დასაყრდენს პოულობს ქურთი მებრძოლების დაჯგუფებებში, რაც თავისთავად კიდევ ერთი მიზეზი ხდება ანკარა-ვაშინგტონის ურთიერთობების დაძაბვის მიმართულებით.

პარალელურად იზრდება საფრთხეები თურქეთის საზღვრებზე, გახშირდა თავდასხმები ერაყისა და სირიის მხრიდან, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში გამოიკვეთა ბერძნულ-კვიპროსული და ისრაელ-ეგვიპტის შესაძლო ალიანსი, ასევე, შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ცალმხრივი მოძრაობები ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სირიაში, სადაც ორივე ძალა საყრდენს სხვადასხვა მიმართულებით პოულობდა, ოღონდ ეს ყველაფერი ანკარის გარეშე ხდებოდა. აღნიშნული პრობლემების წამოწევამ თურქეთის საგარეო პოლიტიკა გადაიტანა რეალურ რელსებზე.

2016 წლიდან, ამერიკელების წინააღმდეგობის მიუხედავად, ერდოღანი იწყებს სამხედრო ოპერაციებს მშვიდობის სახელით, რათა რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვის მიზნით შექმნას ბუფერული ზონები სირიის საზღვართან. როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის ანტიტერორისტული ოპერაციების წინააღმდეგი იყო შეერთებული შტატები. აღნიშნულ თემაზე შედგა საუბარი აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და ტაიპ ერდოღანს შორის, სადაც ერდოღანმა ცალსახად განაცხადა რომ „ანკარა არასოდეს გამოაცხადებს ცეცხლის შეწყვეტას სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით და არ გამართავს მოლაპარაკებებს ქურთებთან, რომლებთანაც ის იბრძვის ამ რეგიონში“ (http://geworld.ge/ge/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA/).

სირიის სირღმეში შეტევითი ოპერაციების შედეგად თურქებმა შეძლეს კონტროლირებადი ბუფერული სივრცის შექმნა. ასევე, ერაყის სიღრმეში არსებულ „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ იარაღის ბაზებსა და თავშესაფრებზე წარმატებული დარტყმების განხორციელების შედეგად პირველი სერიოზული საომარი ნათლობა მიიღო ერდოღანის სიძის – სელჩუკ ბაირაქთარის უპილოტო საბრძოლო საფრენმა აპარატებმა. სირიასა და ერაყის ტერიტორიებზე შედეგიან შეტევებს თან მოყვა წარმატებული სამხედრო კამპანიები ლიბიასა და მთიან ყარაბაღში. ყოველივე ეს უდავოდ გამოხატავდა რეგიონში თურქული გეოპოლიტიკური ვექტორის გაძლიერებას.

2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ერდოღანს უკვე საშუალება მიეცა შავი ზღვის რეგიონის ლიდერად წარმოჩენილიყო და წარმატებით შეესრულებინა დაპირისპირებულ მხარეებს შორის სანდომიანი შუამავლის როლი. აღმოსავლური დიპლომატიის სტრატეგიით, ერდოღანი ახორციელებს უკრაინის სამხედრო მხარდაჭერას, ამასთანავე, კომუნიკაციის ღია ხაზს ინარჩუნებს მის მიერვე მეგობრად წოდებულ ვლადიმერ პუტინთან, რამაც თუნდაც ხორბლის ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყო, მართალია, შემდეგ ამ შეთანხმებიდან რუსები ცალმხრივად გამოვიდნენ,

მაგრამ ტაიპმა აქ უკვე ფაქტობრივად დიპლომატიასთან ერთად კუნთებიც გამოაჩინა და თურქეთის შავი ზღვის ფლოტი გახდა უშუალოდ რუსების გარეშე ხორბლის გემების გარანტორი, რამაც თურქეთის რესპუბლიკის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა უკვე დასავლეთ ევროპული ისეთი სახელმწიფოების თვალშიც კი, რომლებიც მას მანამდე ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ.

ერდოღანი დღეს არის იმ რამდენიმე მსოფლიო ლიდერთაგან ერთ-ერთი, რომლებიც რეგულარულ კონტაქტს ინარჩუნებენ რუსეთის დიქტატორთან. ამასთანავე, უკრაინაში კრემლის აგრესიული შეჭრისა და დასავლეთის მიერ ოკუპანტებისადმი მრავალმხრივი სანქციების დაწესების მიუხედავად, რუსეთთან ვაჭრობის გაზრდაზე მუშაობა ღიად დაიწყო და ეს საკითხი ანკარის ეროვნული ინტერესების ჩრდილში მოაქცია. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო სამინისტროს საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულების ყოფილი გენერალური დირექტორის ალპერ ჩოსქუნის თქმით: „ეს ერთი შეხედვით არასრულყოფილია, მაგრამ შესანიშნავია თურქეთის საკუთარი ინტერესების წინსვლის თვალსაზრისით იმ ბალანსის კონტექსტში, რომელსაც ის იჭერს უკრაინასა და რუსეთს შორის“ (https://twitter.com/dkoridoru1/status/1443959371667496969).

თურქეთის არსებულ საგარეო პოლიტიკის კურსს რუსეთთან ერთად ეგუება უკრაინაც, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის კომპენსირება ხდება თურქული შეიარაღებითა და სხვადასხვა დანიშნულების დახმარების პაკეტებით. ფაქტობრივად ომის დაწყებამდეც და შემდეგაც ანკარა იყო კიევისათვის ერთ-ერთი პირველი იარაღის მიმწოდებელი.

როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრამდე აქტიურად თანამშრომლობდნენ უკრაინის შეაიარაღებული ძალები და თურქეთის რესპუბლიკის უპილოტო საფრენი დანადგარების ლიდერი საწარმო „ბაიქარი“, რომლის მთავარი სულისჩამდგმელები არიან ძმები სელჩუკ და ჰალუკ ბაირაქთარები. მათ საჯაროდ დადეს პირობა, რომ თავიანთ იარაღს არასოდეს არ მიაწოდებდნენ რუსეთის ფედერაციას, ეს მაშინ, როდესაც სელჩუკის სიმამრმა ერთ-ერთ შეხვედრაზე რუსეთში ბაირაქთარის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით პუტინის თხოვნის შესახებ ინფორმაცია ღიად გააჟღერა. თუმცა ძმების განცხადებით: „ჩვენთვის ფული არ არის პრიორიტეტი. ფული და მატერიალური რესურსები არასდროს ყოფილა ჩვენი ბიზნესის მიზანი. ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა უკრაინასთან მრავალი წელია გრძელდება. ამიტომ, რამდენ ფულსაც არ უნდა გვთავაზობდნენ, გულწრფელად რომ ვთქვათ, გამორიცხულია ამ სიტუაციაში დრონების მოსკოვისთვის მიცემა. ამ პერიოდში ჩვენი მხარდაჭერა მთლიანად უკრაინის მხარესაა, ვინაიდან უკრაინა ძალიან უსამართლო, აგრესიული და დაუსაბუთებელი თავდასხმის ქვეშაა და, შესაბამისად, ვერაფერი მიაყენებს ჩრდილს ჩვენს თანამშრომლობას უკრაინასთან, ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ნათელია“ (https://www.bbc.com/turkce/haberler-turkiye-60571805). აქ თითქოსდა წარმოჩნდა, რომ ერდოღანისა და მისი სიძის პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა რეალური უფრო ისაა, რომ ეს ხაზები ერთმანეთთან შეთახმებული ქმედებებისა და დიპლომატიური პოლიტიკური სვლების დიდი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ კიევმა და ანკარამ „ბაირაქთარის“ დრონების საწარმოებელი ქარხნის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 2022 წლის დასაწყისში მოაწერეს ხელი. რუსეთის საოკუპაციო ძალების უკრაინაში შეჭრის შემდეგ პროექტი არ შეფერხებულა. ბაირაქთარების ინფორმაციით, იგი ორ წელიწადში უნდა დასრულდეს.

სხვადასხვა ტიპის სამხედრო დახმარებებთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკამ კიევს გადასცა ახალი „Milgem”-ის კლასის კორვეტი, რომელიც დღეისათვის ყველაზე დიდია უკრაინის ფლოტში და დიდ როლს თამაშობს შავ ზღვაზე რუსულ ხომალდებთან დისბალანსის შემცირებაში. მით უმეტეს მაშინ, როდესაც „მონტრეს კონვენციის“ თანახმად, მიუხედავად მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნისა, ანკარამ არ გაატარა სრუტეებში შავი ზღვისკენ მიმავალი რუსეთის წყნარი ოკეანის გემები, სარაკეტო კრეისერი „ვარიაგი“ და ნავსაწინააღმდეგო გემი „ადმირალი ტრიბუცკი“, რომლებიც თვეების განმავლობაში თურქების თანხმობას უშედეგოდ ელოდნენ.

რუსეთ-უკრაინის ომმა საგარეო პოლიტიკის კუთხით ანკარას დასავლეთთან ვაჭრობის ახალი შესაძლებლობები გაუხსნა, რაშიც პირველ რიგში ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების საკითხის წამოჭრა უნდა ვიგულისხმოთ. ორივე სახელმწიფოს მმართველმა ძალებმა ევროპაში წამოჭრილი ახალი საფრთხეების თავიდან აცილებისათვის ღიად გამოთქვეს სურვილი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე, რაშიც თავისი საჭიროების შანსი დაინახა ანკარამ და ერდოღანმა პასუხიც არ დააყოვნა. დეილი საბაჰის ცნობით, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა: „შვედეთსა და ფინეთს, არცერთ ქვეყანას არა აქვს მკაფიო პოზიცია ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა, თანხმობით არ ვუპასუხებთ მათ თხოვნას ნატოში გაწევრიანებაზე, ვინც თურქეთს სანქციებს უწესებს“ (https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-will-not-approve-sweden-finland-joining-nato-erdogan?fbclid=IwAR3j3gu-H4of5fymrEiM3gDlFRldNjcE0sp79Dvtdl7c_2yvtsUIBoEjA). ატლანტიკური ალიანსის წესდებით, ახალი წევრის მიღებაზე ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობაა აუცილებელი, ამიტომ ანკარის ხმას მნიშვნელოვანი წონა აქვს. განსაკუთრებით შეუვალი იყო თურქეთი შვედეთთან მიმართებით. იგი სტოკჰოლმს „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ტერორისტული დაჯგუფების წევრებისათვის მფარველობის გაწევასა და თავშესაფრის მიცემაში ადანაშაულებდა. CNN თურქთან ინტერვიუში ტაიპ ერდოღანმა 2023 წლის მაისში განაცხადა: „ამ ეტაპზე, ჩვენ არ ვართ მზად შვედეთის მისაღებად, რადგან ნატოს წევრ სახელმწოფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მტკიცე პოზიცია, როცა საქმე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება“ (https://www.cnnturk.com/video/turkiye/erdogan-cnn-internationala-konustu-secmenimiz-bizi-yuzustu-birakmayacaktir?fbclid=IwAR02OEJatg7-TKyTFn4295epf-TKZBrO6NolCQDr0t0zyG9ZSR9-s2qabxg). მიუხედავად ასეთი მკაცრი პოზიციების გამოხატვისა, სამთავრობო ანალიტიკოსებმა და ტელეარხებმა დაიწყეს ისეთ კომპრომისებზე საუბარი, როგორიც ევროკავშირის მიერ თურქეთისათვის საკუთარ ოჯახში ნანატრი კარის გაღებაა, თავშესაფარმიღებული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ წევრების ანკარისათვის გადაცემა, აშშ-სთან F-16-ების საკითხის დადებითად გადაჭრა და ა.შ.

დასავლეთის ძლიერი ზეწოლის მიუხედავად, ანკარამ მაინც დააცალკევა სკანდინავიური სახელმწიფოები; ჯერ ფინეთს მისცა საშუალება, რომ 2023 წელს, ალიანსის 74-ე იუბილეზე გამხდარიყო ნატოს წევრი, ხოლო შვედეთი, თურქეთისა და მასთან ერთად უნგრეთის წინააღმდეგობის გამო, იძულებული გახდა ცოტა მოგვიანებით, 2024 წლის 7 მარტს, შეერთებოდა ატლანტიკურ ალიანსს. აღნიშნულ პერიოდამდე ჰელსინკი უფრო მეტად დაუახლოვდა ანკარას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ასევე, თურქებმა აშშ-სგან ,,F-16" შეძენისა და მოდერნიზაციის შესახებ საბოლოო თანხმობა მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხოვნით თურქეთმა ვაშინგტონს ჯერ კიდევ 2021 წელს მიმართა, მაგრამ პასუხი გაურკვევლად უგვიანდებოდა. მაშასადამე, თურქეთის პრეზიდენტმა დასავლელ მოკავშირეებთან ვაჭრობითა და წინააღმდეგობის შედეგად, შიდა პოლიტიკურ ველზე, პროისლამურ ამომრჩევლის მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიმყარა და, ამასთანავე, ანკარასთან მოკავშირეებს დააშვებინა ისეთი კომპრომისები, რომლებიც უშუალოდ თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

2023 წლის მაისის ბოლოს, ერდოღანმა თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, საკმაოდ რთულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ რეალობაში, მუსტაფა ქემალ ათასთურქის მიერ დაფუძნებული „სახალხო რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე და მათივე კანდიდატი ქემალ ქილიჩდაროღლუ დაამარცხა. სწორედ აღნიშნული საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ერდოღანმა მოსახლეობას წარუდგინა ახალი პროგრამა - „თურქეთის საუკუნე", რომელიც ფაქტობრივად არის ფართომასშტაბიანი გეგმა რესპუბლიკის წარმატებით განვითარებისათვის. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული დოკუმენტის საგარეო პოლიტიკური მიმართულებები და აქცენტები, რომელთა ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება ანკარის მომავალი საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულებების განსაზღვრა.

პროგრამა „„თურქეთის საუკუნე" ითვალისწინებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს გეოგრაფიული თვალსაზრისით სამ სარტყელად დაყოფას:

1. პირველი სარტყელი – შავი ზღვის, ბალკანეთის, ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთი, სპარსეთის ყურის და ცენტრალური აზიის რეგიონები;
2. მეორე სარტყელი – აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზია;
3. მესამე სარტყელი – გლობალური სისტემა, რომელიც შედგება გლობალური აქტორებისა და ორგანიზაციებისაგან (თავაძე 2023).

ახალი გეგმის მიხედვით, თურქეთი თავის მოხაზულ სარტყელებში გეგმავს მრავალგანზომილებიანი დიპლომატიის წარმართვას, რომლის მთავარი მიზანიც ანკარის ირგვლივ სტაბილურობისა და კეთილდღეობის სარტყელის ფორმირება იქნება. თურქეთი საზღვრის უსაფრთხოებასთან ერთად პრიორიტეტად აყენებს ტერორიზმთან ბრძოლასა და სუვერენული დაცვის უფლებებს. ანკარისათვის ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში ომებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და ნებისმიერი ასეთი გამოწვევისადმი მზადყოფნას გამოთქვამენ.

„თურქეთის საუკუნეში“ ასევე დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ ქვეყნებსა და რეგიონებთან მიმართებით საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. მაგალითად, სირია განიხილულია როგორც საფრთხის შემცველი სახელმწიფო, ერაყი ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი, ირანთან ეკონომიკასა და სხვა არსებულ სფეროებში თანამშრომლობის გაღმავება იგეგმება. პროექტის მიხედვით ასევე იკვეთება ინტერესის შენარჩუნება აღმოსავლეთ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვებში. ანკარა აგრძელებს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ პოლიტიკის აქტიურ მხარდაჭერას რეგიონში, ამავდროულად თვლის, რომ საბერძნეთთან სადავო საკითხები დიპლომატიური მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდეს.

სამომავლო გეგმებში ცალსახად აღნიშნულია, რომ შეერთებულ შტატებთან მიმართებით თურქეთი ისწრაფვის ურთიერთპატივისცემისა და თანასწორი პარტნიორობის საფუძველზე განვითარებულ გრძელვადიან მჭიდრო თანამშრომლობას. რაც შეეხება ევროკავშირს, მასთან დაახლოებისათვის იგეგმება რიგი ნაბიჯები, აქცენტები განსაკუთრებით გაკეთებულია ვიზალიბერალიზაციაზე და საბაჟო კავშირის შეთანხმების განახლებაზე. ანკარა რჩება ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ერთგულ წევრად.

დოკუმენტში უკრაინა-რუსეთის ომი აღიქმება რეგიონის სტაბილურობისათვის უდიდეს რისკად, ამიტომ თურქეთი კვლავ ეცდება, შუამავლის როლი შეასრულოს დაპირისპირებულ მხარეებთან და ასევე დადებითი ურთიერთობა შეინარჩუნოს ორივე ქვეყანასთან. სწორედ ამას უკავშირდებოდა ერდოღანის 2024 წლის მარტში გაკეთებული განცხადება მედიატორობის გაგრძელების შესახებ: „დასაწყისიდანვე ჩვენ წვლილი შეგვაქვს ომის მოლაპარაკებების მეშვეობით დასრულებაში, მზად ვართ ვუმასპინძლოთ მშვიდობის სამიტს, რომელშიც რუსეთიც იქნება ასევე ჩართული“ (https://tabula.ge/ge/news/715293-erdoghanma-zelenskis-ukrainasa-rusets-shoris).

კავკასიასთან მიმართებით თურქეთი გეგმავს რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და ერთობლივი დიდი პროექტების განხორციელებას, რაშიც აშკარად იკვეთება სამომავლოდ ინტერესების კიდევ უფრო გაღრმავება ამ მიმართულებით.

ანკარისთვის ერთ-ერთ მთავარ არსად რჩება ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება. იგეგმება „თურქული სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ მუშაობის კიდევ უფრო მეტად გააქტიურება. საერთასშორისო ორგანიზაციის „თურქული სახელმწიფოთა ორგანიზაცია“, იგივე „თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს“ შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2006 წელს წამოწია ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა. თურქები რუსული გავლენების გამო ამ მიმართულებაზე ყოველთვის სიფრთხილეს იჩენდნენ და ამიტომაც აუცილებელი იყო, რომ მსგავსი იდეა უშუალოდ რეგიონიდან წამოჭრილიყო. საბოლოოდ, საერთაშორისო ორგანიზაცია დაფუძნდა 2009 წლის 3 ოქტომბერს ქალაქ ნახიჩევანში, გენერალური

სამდივნო კი განთავსდა ოსმალეთის ყოფილი იმპერიის დედაქალქ სტამბოლში (https://ticaret.gov.tr/dis-iliskiler/cok-tarafli-ve-bolgesel-iliskiler/cok-tarafli-iliskiler/turk-devletleri-teskilati), რასაც, რა თქმა უნდა, თავისი პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. ოფისებია ასევე განთავსებული ნურ-სულთანსა და ბაქოში. ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებია: თურქეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. თურქული საბჭო მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანი თურქულენოვან სახელმწიფოებს შორის დაახლოება და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაა. იგი, ასევე, დამკვირვებლის სტატუსს ატარებს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში და იმავეს ელოდება გაეროსა და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციისგან, მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან.

2022 წლის ნოემბერში, სამარყანდში თურქულენოვანი სახელმწიფო-ების თანამშრომლობის საბჭოს მე-9 სამიტზე, რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა გამოიყენა ორგანიზაციის ტრიბუნა და ხაზი გაუსვა თურქეთისა და თურქი ხალხის როლს მშვიდობის შენარჩუნების საერთო საქმეში და მისთვის მნიშვნელოვანი მესიჯები გააჟღერა: „ჩვენ მშვიდობის დასამყარებლად სამართლიან ბრძოლაში აზერბაიჯანის გვერდით ვიდექით და ვდგავართ. რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის ომს, რომელიც უკვე 9 თვეა გრძელდება, ჩვენი პოზიცია ისაა, რომ საკითხი მოლაპარაკებების გზით მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. 2014 წლიდან მოყოლებული მსოფლიოში ყველაზე მეტი თავშესაფრის მაძიებლის მიმღები ქვეყანა ვართ. ბოლო მონაცემებით, 5 მილიონამდე ჩაგრულს ვიფარებთ. ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნება ჩვენი თანამშრომლობის გაზრდა არალეგალური მიგრაციის პრევენციასა და უსაფრთხოების საერთო კონცეფციის შექმნა“ (https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2022/11/11/prezidenti-erdog-ani-t-urk-ulenovani-saxelmcip-oebis-t-anamshromlobis-sabcho-morig-samits-daescro-1904975). ამავე სამიტზე თურქეთის პრეზიდენტი, როგორც თურქული საქმისთვის თავდადებული მოღვაწე, „თურქული სამყაროს ალი“-ს სახელწოდების ორდენით დაჯილდოვდა.

ექსპერტების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ თურქულენოვანი სახელმწიფოებისთანამშრომლობისსაბჭოსმალეშეუერთდებათურქმენეთი და უზბეკეთი, რაც, რა თქმა უნდა, სრულად შესაძლებელია, მით უმეტეს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, როცა მას ყველა მიმართულებით პრობლემები აქვს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე საინფორმაციო ომში და როდესაც მსოფლიო ცივილიზაციის თვალში კრემლი ფაქტობრივად უკვე ტერორისტულ ორგანიზაციას გაუთანაბრდა, ახალი გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, სავსებით მოსალოდნელია თურქული გავლენების ზრდა შუა აზიაში. მით უმეტეს, როდესაც აღნიშნულ მიმართულებაზე მრავალი ათეული წელი ოცნებოდნენ ჯერ ოსმალეთის და შემდეგ 21-ე საუკუნის თურქეთის რესპუბლიკის ლიდერები, რაც, მაგალითად, ძალიან კარგად არის გამოხატული აჰმედ დავუთოთლუს ე.წ. „სტრატეგიული სიღრმეებში“. თავად დავუთოღლუ 2002 წლიდან ერდოღანის მრჩეველია საგარეო საკითხებში, 2009 წლიდან – საგარეო

საქმეთა მინისტრი, ასევე, იყო პარლამენტის წევრი, 2014-16 წლებში კი – თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი. საბოლოოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერდოღანთან შიდა პოლიტიკური უთანხმოებების გამო მას თანამდებობის დატოვება მოუწია. რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ დავუთოღლუ ღიად დაუპირისპირდა თავის ყოფილ გუნდს, რაც მისი ოპოზიციაში წასვლითა და ახალი „მომავლის პარტიის“ დაარსებით გამოიხატა (https://gelecekpartisi.org.tr/).

აჰმედ დავუთოლუმ თავის ნაშრომში – „სტრატეგიული სიღრმე – თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები“ – პირდაპირ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე თურქეთისათვის აუცილებელია მოქმედებები დაიწყოს ოსმალეთის ისტორიული მემკვიდრეობიდან გამომდინარე და მჭიდრო კავშირი განვითარდეს ოტომანთა ყოფილ მიწებზე არსებულ სახელმწიფოებს შორის, თუმცა აღნიშნული პოლიტიკის გატარებისას ანკარამ პარალელურად უნდა შეინარჩუნოს და გააძლიეროს პარტნიორობა დასავლეთთან. დავუთოღლუს შეხედულებით, როგორც თურქეთისათვის, ისე ატლანტისტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნია, რომ ანკარამ დასავლეთსა და ისლამს შორის, ასევე, ცენტრალურ აზიასა და რუსეთთან დამბალანსებლის როლი შეასრულოს, რადგან თანამედროვე თურქეთს რეალურად მეტი შესაძლებლობები აქვს, რომ რეგიონში იმაზე დიდი გავლენა და როლი ჰქონდეს, ვიდრე მანამდე ჰქონდა. მისი თქმით, „თურქეთი, როგორც ერი, სახელმწიფო, თანაბარია ჩვენი რეგიონის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან, იქნება ეს მცირე მოსახლეობითა თუ ტერიტორიით... ჩვენ არ გვინდა ვინმეზე გვქონდეს ჰეგემონია, არამედ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ რეგიონში მუდმივი მშვიდობის დამყარებას“ (Davutoğlu, Neo-Osmanlıcı değil Pan-İslamist – Behlül Özkan /behlulozkan.com/). აღნიშნული მიდგომა ფაქტობრივად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქული სამყაროს სწორი განვითარებისათვის, რადგან დღევანდელ რეალობაში მათ დასავლეთის წინააღმდეგი კურსით სვლა მოწყვლადს გახდის.

ისრაელთან მიმართებით ურთიერთობათა ნორმალიზებასთან ერთად, პროექტში წინ წამოწეულია პალესტინის საკითხი, თუმცა ჰამასის ისრაელზე თავდასხმისა და შემდეგ „ცაჰალის“ არმიის კონტრშეტევის შედეგად განვითარებული მოვლენების პარალელურად უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ისრაელსა და თურქეთს შორის. ერდოღანმა ღია მხარდაჭერა გამოუცხადა პალესტინელ ერს, მკაცრად გააკრიტიკა როგორც დასავლეთის ქვეყნები, რომელთაც უმოქმედობაში დასდო ბრალი, ისე ისრაელის მოქმედი ხელისუფლება. უფრო მეტიც, ერთ-ერთ გამოსვლაში ბენიამინ ნეთანიაჰუ თანამედროვე დროის უდიდეს ტირანებს შეადარა: „ნეთანიაჰუ და მისი ადმინისტრაცია ღაზაში მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებით თავიანთ სახელებს ისტორიის ფურცლებზე ჰიტლერის, მუსოლინისა და სტალინის გვერდით წერენ“. (https://www.timesofisrael.com/liveblog_entry/erdogan-says-netanyahu-writing-his-name-next-to-that-of-hitler-stalin-and-mussolini/?fbclid=IwAR0m_nrRRWgwxBidsFQOoEFz7zKEHHNG9WWRH0MHAN70c0lzSbrWTooWd8g)

მიუხედავად ერდოღანის ასეთი აქტიურობისა, ოპოზიცია მას მაინც აკრიტიკებს და მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტის მწვავე განცხადებები

მხოლოდ პროპაგანდას და მუსლიმურ სამყაროში პოლიტიკური ქულების მოპოვებას ემსახურება. ლოგიკურად რომ შევხედოთ, საერთაშორისო არენაზე დასავლეთთან გახსნილი მოლაპარაკებების ჩარჩოში შესაძლებელი იყო პალესტინის საკითხის უფრო მაღალ დონეზე წამოწევა, თუმცა იქ სულ სხვა პრიორიტეტები იქნა გათვალისწინებული.

ამრიგად, საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რეჯეფ ტაიპ ერდოღანისა და მისი პოლიტიკური გუნდის საგარეო პოლიტიკის მისწრაფებები ხელისუფლებაში მოსვლიდან, თუ როგორ იგეგმებოდა და როგორ წარიმართა საბოლოო ჯამში, დღევანდელობამდე რა სახე მიიღო და როგორ განვითარდება მომავალში. მაგალითად, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სირიის ტერიტორიაზე ველოდებით სხვადასხვა სახის თურქულ სამხედრო ოპერაციებს, განსაკუთრებულ საგარეო პოლიტიკურ აქტივობებს როგორც შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში, ისე ახლო აღმოსავლეთში. ასევე ნათლად ვხედავთ, რომ კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით ანკარას არა აქვს სურვილი კომპრომისები გააჩინოს.

თურქეთის რესპუბლიკა მომავალშიც ჯიუტად ეცდება მედიატორის როლი ითამაშოს რუსეთ-უკრაინის ომში და თავისი საჭიროების ფაქტორი აქაც წინ წამოწიოს როგორც დასავლეთთან, ისე მოსკოვთან მიმართებით. ფაქტობრივად, ვხედავთ ერდოღანის თამაშს ორ პოლუსთან, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში უნილატერალიზმი იკვეთება. კავკასიასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მოსალოდნელია თურქული კო-ჰორტის გაძლიერება და რეგიონში აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკის კავშირების ინტერესების სფეროების წინ წამოწევა. აუცილებლად გაიზრდება თურქეთის როლი შუა აზიის მონათესავე სახელმწიფოებთან და კიდევ უფრო დიდი შრომა ჩაიდება ძლიერი თურქული გაერთიანების შესაქმნელად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის.

ერდოღანის ბოლო პერიოდის პოლიტიკურ გამოსვლებში აშკარად ჩანს, რომ ისრაელის მოქმედ მთავრობასთან პრეზიდენტი ურთიერთობების ყველა გზას იჭრის, აქედან გამომდინარე, მომავალში ამ ორ სახელმწიფოს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება. საინტერესოა, რამდენად შეძლებს ისრაელთან ასეთი აგრესიული პოლიტიკის წარმოების ფონზე შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების ნორმალურ და მისთვის მისაღებ ფაზაში დარეგულირებას, თუმცა „საუკუნის თურქეთის“ პროექტის მიხედვით აღნიშნული მიმართულებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დასკვნა

ამრიგად, ერდოღანი მიუხედავად ავტოკრატიული მმართველობისა, ახერხებს დასავლეთს დაანახოს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რუსეთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი პირად მეგობრად თვლიდეს და ამას გაგებით ეკიდებოდეს უკრაინის ხელმძღანელობა. ამასთანავე, ისრაელის მწვავე კრიტიკით თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იგებს ისლამური სამყაროს გულს, თუმცა მტკიცე მოკავშირე რჩება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და, რიგი პოლიტიკური სარგებლის ფონზე, მხარს უჭერს ნატოს გეოპოლიოტიკურ გაფართოებას ფინეთისა და შვედეთის ხარჯზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

თავაძე 2023: თავაძე დ., თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში". დუნია, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი, №1, თბილისი, 2023.

ერდოღანმა ზელენსკის უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების თურქეთში ჩატარება შესთავაზა - https://tabula.ge/ge/news/715293-erdoghanma-zelenskis-ukrainasa-rusets-shoris

პუტინმა ერდოღანს რუსეთში „ბაირაქტარის" წარმოების გახსნა შესთავაზა – მედია. accentnews.ge https://primetime.ge/news/msoflio/vladimer-putinma-rejef-taif-erdoghans-rusetshi-bairaqtaris-tsarmoebis-gakhsna-shestavaza-turqul-kompaniashi-ki-ganatskhades-rom-putins-upiloto-tvitmfrinavebs-ar-mihyidian.

პრეზიდენტი ერდოღანი თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო მორიგ სამიტს დაესწრო trt.net.tr https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2022/11/11/prezidenti-erdog-ani-t-urk-ulenovani-saxelmcip-oebis-t-anamshromlobis-sabcho-morig-samits-daescro-1904975

რისთვის იბრძვიან ჩრდილოეთ სირიაში • თურქეთი • თურქეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში • სირია Netgazeti.ge https://netgazeti.ge/news/397465/

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ანალიზი - trt.net.tr https://www.trt.net.tr/georgian/t-urk-et-i/2016/07/18/saxelmcip-o-gadatrialebis-mc-delobis-analizi-531971

თურქეთში 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულ ათობით ყოფილ სამხედროს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს – 1TV თურქეთში 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულ ათობით ყოფილ სამხედროს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს – 1TV https://1tv.ge/news/turqetshi-2016-wlis-sakhelmwifo-gadatrialebis-mcdelobashi-braldebul-atobit-yofil-samkhedros-samudamo-patimroba-miusajes/

თურქეთის სამხედრო ოპერაციამ სირიაში შეიძლება მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვოს - საქართველო და მსოფლიო geworld.ge http://geworld.ge/ge/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA/

Aydin, M. (2006). Turkey and the Caucasus. The caucasus and globalization.

Aydin M. - Determinants of Turkish Foreign Policy. Turkish Foreign Policy I file:///C:/Users/User/Downloads/DeterminantsofTFP_AOF2019%20(1).pdf 2019

Aydin M. – Determinants of Turkish Foreign Policy: Historical Framework and Traditional Inputs https://www.jstor.org/stable/4284043

Alper Coşkun – Diplomasi Koridoru https://twitter.com/dkoridoru1/status/1443959371667496969

Montrö Boğazlar Sözleşmesi: Türkiye'nin hamlesi ne anlama geliyor, Rusya-Ukrayna krizinin seyri değişebilir mi? – BBC News Türkçe https://www.bbc.com/turkce/haberler-turkiye-60571805

Davutoğlu'ndan Erdoğan'ı çok kızdıracak konuşma! Konu: Filistin! – https://www.youtube.com/watch?v=MdgLVP37I64

Turkey will not approve Sweden, Finland joining NATO: Erdoğan BY DAILY SABAH WITH AGENCIES ISTANBUL MAY 16, 2022 - 8:10 PM GMT+3 – https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-will-not-approve-sweden-finland-joining-nato-erdogan?fbclid=IwAR3j3gu-H4of5fymrEiM3-g-DlFRldNjcE0sp79Dvtdl7c_2yvtsUIBoEjA

Erdoğan, CNN International'a konuştu "Seçmenimiz bizi yüzüstü bırakmayacaktır" - https://www.cnnturk.com/video/turkiye/erdogan-cnn-internationala-konustu-secmenimiz-bizi-yuzustu-birakmayacaktir?fbclid=IwAR02OEJatg7-TKyTFn4295epf-TKZBrO6NolCQDr0t0zyG9ZSR9-s2qabxg

Davutoğlu, Neo-Osmanlıcı değil Pan-İslamist – Behlül Özkan (behlulozkan.com) gelecekpartisi.org.tr EYT: Erdoğan yeni düzenlemeyi açıkladı, yaş sınırı olmayacak - BBC News Türkçe https://www.bbc.com/turkce/articles/cv286eym5d0o

EYT'de yaş şartı olmayacak! Cumhurbaşkanı Erdoğan milyonların beklediği düzenlemenin detaylarını açıkladı - Son Dakika https://www.sondakika.com/ekonomi/haber-son-dakika-cumhurbaskani-erdogan-milyonlarin-heyecanla-15524781/.

European of the Year (European Voice award) https://en.wikipedia.org/wiki/European_of_the_Year_(European_Voice_award)

Erdogan says Netanyahu writing his name next to that of Hitler, Stalin and Mussolini – https://www.timesofisrael.com/liveblog_entry/erdogan-says-netanyahu-writing-his-name-next-to-that-of-hitler-stalin-and-mussolini/?fbclid=IwAR0m_nrRRWgwxBidsFQOoEFz7zKEHHNG9WWRH0MHAN70c0lzSbrWTooWd8g

Türk Devletleri. Teşkilatı ticaret.gov.tr https://ticaret.gov.tr/dis-iliskiler/cok-tarafli-ve-bolgesel-iliskiler/cok-tarafli-iliskiler/turk-devletleri-teskilati message-of-president-erdogan-on-the-republic-day.en.mfa – www.mfa.gov.

Братья Байрактар: деньги не приоритет, наша поддержка на стороне Украины – BBC News Русская служба https://www.bbc.com/russian/features-62592464